

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №82

21 ნოემბერი 2024 წ.
12:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან არველაძე, თამარ ჩახვაშვილი, ავთანდილ ცინცაძე, აკაკი ალადაშვილი, მიხეილ კაკაურიძე, ირაკლი ნადირაძე.

მოწვეული სტუმარები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი- ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი - თათია ბარაქაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. **საკრ.№12-032431943-03 (14/11/24)**

2. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე. **საკრ.№12-032432550-03 (20/11/24)**

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ - ინფორმაცია. **საკრ.№12-032430510-03 (31/10/24)**

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **საკრ.№12-03243093-03 (4/11/24)**

5. „ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.028.01.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-032429955-03 (21/10/24)**

6. „ქალაქ თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩა N118-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.01.011.014.01.535 და N01.16.01.011.014.01.532) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-032429955-03 (21/10/24)**

7. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.542.01.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-032429955-03 (21/10/24)**

8. „ქალაქ თბილისში, სერგო ზაქარიაძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.15.013.001.02.029) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-032429955-03 (21/10/24)**

9. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5-5ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. **საკრ.№12-032428544-03 (11/10/24)**

10. ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში არსებული 43.08 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049.01.560) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032430343-03 (29/10/24)**
11. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.511) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-03243092-03 (4/11/24)**
12. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036.01.019) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-03243092-03 (4/11/24)**
13. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.901.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-03243092-03 (4/11/24)**
14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ (წულუკიძის ქუჩა#35-ის მიმდებარედ). **საკრ.№12-032429264-03 (18/10/24)**
15. ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. N2ა-ში მდებარე N115 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.287.01.01.115) და ქალაქ თბილისში, სოფელ დიდომში, ვეფხისტყაოსანის ქ. N22, N24-ში მდებარე N121 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.963.01.01.121) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032429161-03 (15/10/24)**
16. ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N110 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.110) და ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქ. N35-ის მიმდებარედ N2 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.264.01.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032429163-03 (15/10/24)**
17. ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N56 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.394.01.01.056) და ქალაქ თბილისში, რამაზ შენგელიას ქ. N3-ში მდებარე N2 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.448.01.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032428545-03 (11/10/24)**
18. ქალაქ თბილისში, ბარბარე ბაირამაშვილის ქ. N31-ში მდებარე N1 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.11.17.027.014.01.01.001), ქალაქ თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N29 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.079.01.01.029) და ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. N19-ში მდებარე N73 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.10.06.002.041.01.01.073) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032429162-03 (15/10/24)**
19. „ქალაქ თბილისში, თოიძის ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.049.002.01.508) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-032431330-03 (12/11/24)**
20. ქალაქ თბილისში, მესხეთის ქუჩა N10/კაკაბეთის ქუჩა N7ა-ში მდებარე 13.65 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.17.09.055.009.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032431326-03 (12/11/24)**
21. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის N23.1435.1613 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე“. **საკრ.№12-032432038-03 (15/11/24)**
22. „ქალაქ თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N63ბ-ში არსებული 13.88 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.13.039.003.01.529) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-032432038-03 (15/11/24)**
23. „ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.105.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-032432-03 (15/11/24)**
24. „ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.107.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-03243203-03 (15/11/24)**

25. „ქალაქ თბილისში, რაფაელ აგლაძის ქუჩა N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.05.009.015.01.514) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-032432-03 (15/11/24)**
26. „ქალაქ თბილისში, ეგნატე ნინოშვილის ქუჩა N57-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.014.019.02.019ა) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-032432-03 (15/11/24)**
27. „ქალაქ თბილისში, დიდი დილომის დასახლება მე-3 მიკრორაიონის კორპუს N23-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.003.01.054) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-032432-03 (15/11/24)**
28. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429.01.558) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-032432468-03 (19/11/24)**
29. „ქალაქ თბილისში, ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის მე-2 შესახვევი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.024.004.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-032432468-03 (19/11/24)**
30. ქალაქ თბილისში, ველის სასაფლაოზე არსებული 710 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.31.004.103) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032432038-03 (15/11/24)**
31. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 19 ივლისის № ე-35-13-820 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის ცვლილების თაობაზე. **საკრ.№12-032430342-03 (29/10/24)**
32. ქალაქ თბილისში, ნუგუბიდის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032430343-03 (29/10/24) ; საკრ.№16-03243095-03 (4/11/24) №12-03243246-03 (20/11/24)**
33. ქალაქ თბილისში, ნუგუბიდის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032431328-03 (8/11/24) №12-03243245-03 (20/11/24)**
34. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ლოჯიკ გრუპს“ (ს/ნ: 205201191) შორის 2007 წლის 08 მაისს გაფორმებულ „შპს „სპორტის სასახლის“ ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის თხოვნის სახით (მართვის უფლებით) გადაცემის თაობაზე“ ხელშეკრულებაში (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №2450/1) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ლოჯიკ გრუპის“ (ს/ნ: 205201191) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ. **საკრ.№12-032431944-03 (15/11/24)**
35. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორტს“ შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის № ე-308-26-19647 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№12-032431945-03 (15/11/24)**
36. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ინვესტ მშენ 1“-ს (ს/ნ: 425368149) შორის 2022 წლის 19 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდ დილომში, III მიკრო რაიონში, კორპუსი N4-ის მიმდებარედ, N01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6002 კვ. მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ინვესტ მშენ 1“-ის (ს/ნ: 425368149) გათავისუფლების თაობაზე. **საკრ.№12-03243094-03 (4/11/24)**
37. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის

წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „არომას“ (ს/ნ 245599990) შორის 2022 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიდმის დასახლება, III და IV მიკრორაიონებს შორის N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის“ (ს/ნ 245599990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „არომას“ (ს/ნ 245599990) გათავისუფლების თაობაზე. **საკრ.№12-032430642-03 (1/11/24)**

38. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ 406024270) შორის 2012 წლის 26 სექტემბერს გაფორმებულ „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ 406024270) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ. **საკრ.№12-032432476-03 (19/11/24)**

39. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.515) და ქალაქ თბილისში, მარტყოფის შესახვევი N8-ში 625 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.026.017) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-03243253-03 (20/11/24)**

40. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს“ (საფირმო სახელწოდების ცვლილების საფუძველზე - შპს „სითი ბოქსი“, ს/ნ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის“ (ს/ნ: 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032432523-03 (20/11/24)**

41. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსი“ (ს/ნ: 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის“ Nგ-427-1-22706 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის“ (ს/ნ: 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032432523-03 (20/11/24)**

42. ქ. თბილისში, შარტავას ქუჩა N14ა-ს მიმდებარედ არსებული, 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.13.017.033) პირდაპირი განკარგვის წესით, ელისო სარაულისთვის (პ/ნ: 01003003397) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032431329-03 (12/11/24)**

43. ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N2-ში არსებული 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.014.053) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიგ სემისთვის“ (ს/ნ 405374107) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-03243022-03 (28/10/24)**

44. ქალაქ თბილისში, ფხოვის ქ. N3-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.034) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ლელისთვის“ (ს/ნ: 400267117) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032429265-03 (18/10/24)**

45. ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N5-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N01.14.14.010.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უნივერსისთვის“ (ს/ნ: 204915333) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032429266-03 (18/10/24)**

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია 1,700,912,4 ათასი ლარით, რაც 2023 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში, რომელიც შეადგენდა 1,632,132,6 ათას ლარს, გაზრდილია 68,779,8 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 1,645,812,4 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

გადასახადები 918,661,8 ათასი ლარი

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 643,661,8 ათას ლარს.

საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 225 000,0 ათასი ლარი (2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 17,000.0 ათასი ლარით);

ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 30,000,0 ათასი ლარი.(2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 4,000.0 ათასი ლარით);

მიწაზე ქონების გადასახადი 20 000,0 ათასი ლარი.

გრანტები 446,590,0 ათასი ლარი მ.შ: სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები 446,590,0 ათასი ლარი.მ.შ:მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 590,0 ათასი ლარი. (გადამდებ დაავადებატა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის).სპეციალური ტრანსფერი 440,000,0 ათასი ლარი.სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 6,000,0 ათასი ლარი

სხვა შემოსავლები 280,560,6 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან – 9,000,0 ათასი ლარი;სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 70 000,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 75 000,0 ათასი ლარი; სანქციები (ჯარიმები და საურავები) 100, 000,0 ათასი ლარი;სხვადასხვა შემოსავლები – 26 560,0 ათასი ლარი.

ჯამში სხვა შემოსავლები 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 50,715,2 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის **ხარჯები** - განსაზღვრულია 1,421,932,3 ათას ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 128,079,5 ათასი ლარით. საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 182,695,1 ათასი ლარი, პროცენტი 46,942,1 ათასი ლარი, სუბსიდიები 637,757,3 ათასი ლარი, გრანტები 1,466,7 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 146,151,2 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 278,839,5 ათასი ლარით, მათ შორის ფინანსდება ისეთი პროგრამები, როგორცაა ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმშენებლობის განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

არაფინანსური აქტივების ცვლილება

წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს - 173,253,3 ათას ლარს, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა – 228,253,3 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლება – 55 000,0 ათასი ლარი.(მათ შორის საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან 5 000,0 ათასი ლარი,არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვილიან 4 000,0 ათასი ლარი, შემოსულობა არამწარმოებელი აქტივების (მიწის) გაყიდვიდან 46 000,0 ათასი ლარი)

ფინანსური აქტივების ცვლილება: ფინანსური აქტივების ცვლილება (100,0 ათასი ლარი); ფინანსური აქტივების კლება – 100,0 ათასი ლარი.

ვალდებულებების ცვლილება

2024 წლისათვის ვალდებულებების ცვლილება (50726,9) ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებაა.

2024 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განსაზღვრულია 50626,9 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 1,700,912,4 ათას ლარს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 542,391,1 ათასი ლარი;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 223 111,1 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 213,611,1 ათასი ლარი; ეკონომიკის

განვითარების ხელშეწყობა -1,879,5 ათასი ლარი; ბინათმშენებლობის განვითარება - 38 296,3 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 154,685,2 ათასი ლარი; განათლება -

246,047,1 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 35,534,7 ათასი ლარი; საზოგადოებრივი

წესრიგი და უსაფრთხოება - 6 297,0 ათასი ლარი. ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები -238,059,3 ათასი ლარი.

საკითხის განხილვა წარმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

ირაკლი ხელაძემ აღნიშნა, რომ 2025 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი განიხილა ყველა კომისიამ. კომისიაში წარმოდგენილი მათი რეკომენდაციები, ასევე ფრაქციების „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეკომენდაციები და შენიშვნები, ასევე დამოუკიდებელი წევრების რეკომენდაციები.

მან დეტალურად გააცნო კომისიის წევრებს წარმოდგენილი რეკომენდაციები და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მერისთვის უკან დაბრინებასთან დაკავშირებით კომისიების, ფრაქციების და დეპუტატების რეკომენდაციებთან ერთად.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრება გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, კომისიების, ფრაქციების და დეპუტატების რეკომენდაციებთან ერთად დაუბრუნდეს ქალაქის მერს.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რომლის თანახმად შემოსავლების ნაწილში იზრდება ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი - 2 500,0 ათასი ლარით, შესაბამისად მცირდება მიწაზე ქონების გადასახადი, არაფინანსური აქტივების კლების ნაწილში იზრდება საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან მისაღები შემოსავლები - 19 691,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ფინანსური აქტივების კლების ნაწილში მცირდება სესხებიდან მისაღები შემოსავლები - 100,0 ათასი ლარით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 23 აგვისტოს N24.1463.1654 განკარგულებით ჩამოიწერა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გლდანის, ნაძალადუვის, დიდუბის, ისნის და სამგორის რაიონებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებზე ამორტიზირებული ლიფტების სარეაბილიტაციოდ გაცემული სესხები). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 19 591,6 ათასი ლარით და შეადგენს 2 077 927,2 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე.

მათ შორის: **იზრდება** გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 61,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) - 50,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) - 560,8 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) - 28 200,0 ათასი ლარით, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) პროგრამის ასიგნებები - 245,0 ათასი ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) - 9 677,5 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 3 419,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 72,6 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 260,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 16,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 984,2 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) - 200,0 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) - 9 634,5 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) - 87,7 ათასი ლარით, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 522,0 ათასი ლარით, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი (კოდი 06 01 03) - 54,8 ათასი ლარით, სახსრების ენდოპროტუზირების დაფინანსება (კოდი 06 01 04) - 491,2 ათასი ლარით, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 05) - 939,8 ათასი ლარით, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) - 1 243,0 ათასი ლარით, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) - 841,5 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე

ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური 2 დახმარება (კოდი 06 02 02) - 109,2 ათასი ლარით, შუზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) - 180,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი 06 02 06 02) - 19,6 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 14) - 50,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) - 45,3 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) - 130,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) - 22,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) - 235,4 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) - 69,8 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) - 220,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 15) - 170,5 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) - 168,8 ათასი ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) - 160,0 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 2 200,0 ათასი ლარით, იურიდიული კლინიკა (კოდი 07 05 02) - 55,0 ათასი ლარით, სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი 07 05 03) - 300,0 ათასი ლარით, ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა (კოდი 07 06 01) - 50,0 ათასი ლარით, ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი (კოდი 08 01 01) - 45,0 ათასი ლარით, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) - 42,0 ათასი ლარით, თბილისის სამემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი (კოდი 08 01 03) - 24,4 ათასი ლარი, სანდრო მრეველიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი (კოდი 08 01 05) - 23,2 ათასი ლარით, სამეფო უბნის თეატრი (კოდი 08 01 08) - 21,7 ათასი ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები - 610,0 ათასი ლარით, საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" (კოდი 08 04 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 35,6 ათასი ლარით, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნებები - 438,1 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 3 702,3 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) - 357,1 ათასი ლარით, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) - 50,7 ათასი ლარით, საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი 08 10) პროგრამის ასიგნებები - 14,0 ათასი ლარით, თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (კოდი 08 12) - 21,5 ათასი ლარით, ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) - 1 000,0 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) - 1 000,0 ათასი ლარით.

ამასთან, ბიუჯეტით განსაზღვრული ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი ქვეპროგრამა: საბაგირო ტრანსპორტის განვითარება (კოდი 01 02 08) - 1 232,2 ათასი ლარის ოდენობით.

მცირდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 300,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) - 11,5 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 1 000,0 ათასი ლარით, მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) - 866,6 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენარეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 2 364,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ასიგნებები - 616,9 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) - 247,2 ათასი ლარით, 3 ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) პროგრამის ასიგნებები - 984,2 ათასი ლარით, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი (კოდი 03 03 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 5 425,4 ათასი ლარით, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) პროგრამის ასიგნებები - 13,0 ათასი ლარით, თბილისის - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) - 154,9 ათასი ლარით, შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02) - 50,0 ათასი ლარით, სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება (კოდი 04 07 03) - 10,0 ათასი ლარით, საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 04 07 05) - 284,2 ათასი ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) პროგრამის ასიგნებები - 199,8 ათასი ლარით, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) - 140,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 16,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) - 5,8 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 41,8 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 72,6 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) - 28,5 ათასი ლარით, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება (კოდი 06 01 08)

- 109,3 ათასი ლარით, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) - 1 000,0 ათასი ლარით, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა (კოდი 06 02 03) - 15,0 ათასი ლარით, 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 05) - 4,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03) - 35,0 ათასი ლარით, სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდი 06 02 06 04) - 59,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 02 08) - 1 036,0 ათასი ლარით, მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა (კოდი 06 02 13) - 4,6 ათასი ლარით, უფასო სასადილოებით მომსახურება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 14 11) - 44,7 ათასი ლარით, უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 14 15) - 209,9 ათასი ლარით, გარდაცვლილი მეომართა სარიტუალო მომსახურება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 15 12) - 1,1 ათასი ლარით, გარდაცვლილი მეომართა სარიტუალო მომსახურება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 15 16) - 6,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 16 07) - 130,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 16 08) - 20,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) - 230,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 16 12) - 22,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 16 15) - 150,0 ათასი ლარით, ომის ვეტერანების დახმარება ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 17 08) - 2,0 ათასი ლარით, ომის ვეტერანების დახმარება დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 17 09) - 5,4 ათასი ლარით, ომის ვეტერანების დახმარება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 17 12) - 2,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 13) - 50,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) - 484,2 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 24) - 39,6 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 25) - 13,7 ათასი ლარით, შინმოვლის 4 თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) - 26,9 ათასი ლარით, შემოქმედებითი თბილისი (კოდი 08 09) პროგრამის ასიგნებები - 150,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 08 11 10) - 0,6 ათასი ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) - 5 000,0 ათასი ლარით, სსიპ ქონების მართვის სააგენტო (კოდი 10 21) - 30,3 ათასი ლარით, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 10 23) - 1 724,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი (კოდი 10 24) - 2 479,0 ათასი ლარით, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტი (კოდი 10 25) - 4 102,3 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) - 20,0 ათასი ლარით, თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 38) - 1 850,0 ათასი ლარით, თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაუმჯობესების სისტემის პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 39) - 1 300,0 ათასი ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) - 315,4 ათასი ლარით, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) - 8 407,8 ათასი ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი 10 47) - 7 860,2 ათასი ლარით.

ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა შემდეგ პროგრამებში, კერძოდ: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 8 ერთეულით, ხოლო სსიპ ქონების მართვის სააგენტოს (კოდი 10 21) მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 6 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4883 ერთეულით.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყვიტა "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი -გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვა მომზადებულია მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონის გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

2024 წლის 9 თვეში ნაშთის ცვლილების (ნაშთის გამოყენება) სახით ბიუჯეტში ასახულ იქნა 168 707.2 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 168 703,7 ათასი ლარი.

შემოსავლები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 9 თვის გეგმა 1 397,896.4 ათასი ლარი, ფაქტიურად 1 389,609.9 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 99.4% და მთლიანი - შემოსულობების 94.5% შეადგინა. მათ შორის:

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 742,956.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (719,246.4 ათასი ლარი) 103.3%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 692,840.1 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 50,116.1 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

საანგარიშო პერიოდში **გრანტების** სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 360,549.0 ათასი ლარი, კერძოდ: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 151.8 ათასი ლარი, უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები - 0.2 ათასი ლარი, ხოლო სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 360,397.0 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 333,4 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის), სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) - 355,000.0 ათასი ლარი; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები - 2,445.0 ათასი ლარი; ხოლო სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 2,618.6 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში **სხვა შემოსავლებისათვის** განსაზღვრული 234,811.5 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 286,104.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 121.8%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 238,194.7 ათასი ლარი) შედარებით 49,940.0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად სანებართვო მოსაკრებელზე, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელზე, სანქციებზე (ჯარიმები და საურავები) და სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებზე მოდის.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 80,326.9 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 39,979.8 ათასი ლარი (მათ შორის: საცხოვრებელი შენობები - 37,184.9 ათასი ლარი, არასაცხოვრებელი შენობები - 2,678.0 ათასი ლარი, მანქანა დანადგარები და ინვენტარი - 114.0 ათასი ლარი, სხვა ძირითადი აქტივები - 3.0 ათასი ლარი), მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 89.4 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 40,257.7 ათასი ლარი.

ვალდებულებების ზრდის სახით საანგარიშო პერიოდში ასახულ იქნა - 8.3 ათასი ლარი (შემოსულობა საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებების და შემოსულობა საგარეო - წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სახაზინო კოდექსზე ჩარიცხული თანხები, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულების ზრდას).

2024 წლის 9 თვეში გადასახდელების შესრულების 80%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2%-ით ნაკლებია, ხოლო თანხობრივ ჭრილში (2023 წლის 9 თვესთან - 1 146,500.1 ათასი ლარი შედარებით) დახარჯულია 154,741.3 ათასი ლარით მეტი.

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 618,386.6 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 301,241.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 80.4%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 206,257.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 1 024,938.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 85%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 78.8%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 377,090.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 248,173.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 66%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 19.1%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 35,038.9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 28,129.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 80%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 2.2%-ია.

2024 წლის 9 თვეში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან შესაბამისი სამართლებრივი აქტებით გამოყოფილი იქნა 987.8 ათასი ლარი, ხოლო გამოყოფილი ასიგნებების ათვისებამ შეადგინა 987.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.97%-ია. მათ შორის:

სასამართლოს პროცესის ხარჯების დასაფარად, იურიდიული მომსახურება და სხვა გადახდილი თანხა - 39.7 ათასი ლარი;

სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება - 947.9 ათასი ლარი.

სესხების მომსახურება და დაფარვა

სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 39,730.9 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (61,766.0 ათასი ლარი) 64.3%-ია. აქედან, მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 11,601.1 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - 28,129.8 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პროორიტეტები:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 456,261.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (534,458.9 ათასი ლარი) 85%-ია;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 183,051.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (233,015.4 ათასი ლარი) 79%-ია;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 169,088.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (233,501.1 ათასი ლარი) 72%-ია;

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1,098.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (2,386.7 ათასი ლარი) 46%-ია;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 34,488.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (34,725.4 ათასი ლარი) 99%-ია;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 118,650.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (126,603.9 ათასი ლარი) 94%-ია;

განათლება - 173,567.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (216,422.7 ათასი ლარი) 80%-ია;

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 34,889.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (54,341.8 ათასი ლარი) 64%-ია;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 4,962.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (8,894.2 ათასი ლარი) 56%-ია;

ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 125,182.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (174,036.4 ათასი ლარი) 72%-ია.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ ცნობად მიიღო ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები წარმოადგინა თათია ბარაქაძემ

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს N43-71 დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს სტრუქტურულიდან ამოღებულ იქნა სანებართვო სამმართველო და აღნიშნული ცვლილების შედეგად მითითებული სამმართველო გადავიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს შემადგენლობაში.

ზემოაღნიშნული სანებართვოს სამმართველოს უფლებამოსილებებში გაწერილი იყო, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სარგებლობის ან საკუთრების უფლებით

გადაცემულ ან/და სხვა უძრავ ქონებაზე მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის საკითხის განხილვის უფლებამოსილება, თუმცა ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად მითითებული უფლებამოსილება არ გადასულა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, ვინაიდან შინაარსობრივად აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში განსახილველი საკითხები განეკუთვნება სააგენტოს კომპეტენციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ვინაიდან საკმაოდ ხშირად ხდება სააგენტოს მიერ, როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების ან/და ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრის პოზიციის დაფიქსირება ისეთ საკითხებზე, რომელიც უკავშირდება დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან/და მასზე უარის თქმას და გამომდინარეობს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სარგებლობის ან საკუთრების უფლებით გადაცემულ ან/და სხვა უძრავ ქონებაზე მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით საკითხებს, მიზანშეწონილია მითითებული უფლებამოსილებები ჩაიშალოს და გადანაწილდეს კონკრეტული სამმართველოების უფლებამოსილებებში.

სააგენტოს არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, მითითებულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით არსებულ საკითხებს თემატიკიდან გამომდინარე, ამუშავებს და შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის და ქალაქგეგმარებისა და მიწის ნაკვეთების საზღვრების მოშაადების სამმართველოები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დებულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

დებულებით გათვალისწინებულ, ქონების მართვისა და განკარგვის და ქალაქგეგმარებისა და მიწის ნაკვეთების საზღვრების მოშაადების სამმართველოების უფლებამოსილებებს დაემატოს შემდეგი შინაარსის უფლებამოსილება „ლ¹“ და „ზ¹“ ქვეპუნქტების სახით:

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (თანა)საკუთრებაში არსებულ/დაურეგისტრირებელ უძრავ ქონებაზე მშენებლობის ნებართვის მიღებასთან ან/და სხვა სახის წარმოებასთან დაკავშირებით, დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, როგორც უძრავი ქონების ან/და ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრის პოზიციის დაფიქსირება“;

გარდა ამისა, სააგენტოს დებულების სტრუქტურის სრულყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, აღნიშნული უფლებამოსილებები გაიმიჯნოს ერთმანეთისგან და ცალ-ცალკე პუნქტებად ჩაიშალოს. ამასთან, ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 მარტის №139 დადგენილებით, **ძალადაკარგულად იქნა ცნობილი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება**, აღნიშნულ ნორმატიულ აქტზე მითითება ამოღებულ უნდა იქნეს სააგენტოს ზემოაღნიშნული უფლებამოსილების შინაარსიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „წ“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სარგებლობის ან საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების მესამე პირებისათვის სარგებლობის უფლებით (იჯარის, ქვეიჯარის, ქირავნობის, ქვექირავნობის, თხოვების ფორმით) გადაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება“;

ამასთანავე, სააგენტოს დებულებას მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს „წ²“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „წ³“ ქვეპუნქტი:

„წ³) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (თანა)საკუთრებაში არსებულ/დაურეგისტრირებელ უძრავ ქონებაზე მშენებლობის ნებართვის მიღებასთან ან/და სხვა სახის წარმოებასთან დაკავშირებით, დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, როგორც უძრავი ქონების ან/და ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრის პოზიციის დაფიქსირება“.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.028.01.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, 1 პირს (1 ოჯახს) გადაეცემა ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ-ში, პირველ სართულზე არსებული 37.05 კვ.მ ფართის ბინა N2-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.028.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ აღნიშნული პირი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2005 წლიდან.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩა N118-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.01.011.014.01.535 და N01.16.01.011.014.01.532) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, 1 პირს (1 ოჯახს) გადაეცემა ქალაქ თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩა N118-ში, პირველ სართულზე არსებული 14.91 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.16.01.011.014.01.535) და პირველ სართულზე არსებული 5.69 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.16.01.011.014.01.532) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, ჯამში - 20.60 კვ.მ.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმით დასტურდება, რომ მოქალაქე ოჯახთან ერთად 20 წელზე მეტია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე;

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.542.01.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუს N3-ში, პირველ სართულზე არსებული 38.90 კვ.მ ფართის ბინა (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.542.01.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს (1 ოჯახს) რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე მითითებულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 1987-1988 წლებიდან;

აღნიშნული პირს (1 პირს) გადაეცემა 1 ერთეული 38.90 კვ.მ. ფართი.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, სერგო ზაქარიას ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.15.013.001.02.029) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, სერგო ზაქარიას ქუჩა N8-ში, შენობა N2-ში, მე-2 სადარბაზოს მე-3 სართულზე არსებული 151.33 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.10.15.013.001.02.029) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს, რომელიც შსს-ს და

ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე 2006 წლიდან;

აღნიშნული პირს (1 პირს) გადაეცემა 1 ერთეული 151.33 კვ.მ. ფართი.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5-5ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5-N5ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა იმ პირებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 6 პირს (6 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები, აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 264.90 კვ.მ ფართი

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში არსებული 43.08 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049.01.560) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7, 1 სართულზე არსებული 43.08 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049.01.560) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით, რომ აღნიშნული პირი 2017 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.511) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუს N2-ში, პირველ სართულზე არსებული 48.80 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.511) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს (ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული დასტურდება, რომ აღნიშნული პირი მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2004 წლიდან.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036.01.019) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში, მე-3 სართულზე არსებული 17.07 კვ.მ ფართის ბინა N19-ი (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036.01.019) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ აღნიშნული პირი, მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2000 წლიდან.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.901.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32, შენობა N9-ში, პირველ სართულზე არსებული 25.96 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.901.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს (1 ოჯახს).

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ აღნიშნული პირი ამ მისამართზე ცხოვრობს 2009 წლიდან.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ (წულუკიძის ქუჩა #35-ის მიმდებარედ).

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სხვადასხვა წლებში მიღებულია გადაწყვეტილებები (უფლების დამდგენი დოკუმენტები), რომელთა მიხედვითაც, ფიზიკურ პირებს გამოეყოთ ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლების II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუს N35-ში (ს/კ 01.19.39.009.034) (შემდგომში „წითელი აგურების კორპუსები“) აშენებული/ასაშენებელი საცხოვრებელი ფართები. თუმცა ზემოხსენებული უფლების დამდგენი დოკუმენტების ნაწილის საფუძველზე ვერ მოხერხდა გამოყოფილი ფართების ფიზიკური პირებისთვის საკუთრებაში გადაცემა, რადგან აღნიშნული კორპუსების ნაწილი იყო მშენებარე, ხოლო მშენებლობის დასრულებამდე დროთა განმავლობაში ხსენებულ კორპუსებში თვითნებურად შესახლდნენ ფიზიკური პირები და დაიკავეს ფართები. ასევე მოახდინეს ფართების ნაწილის დემონტაჟი ან/და სხვა ფართებთან გაერთიანება. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეის მდგომარეობით, უფლების დამდგენი დოკუმენტებით გათვალისწინებული ფართების ნაწილი არ არის დასრულებული.

როგორც უფლების დამდგენი დოკუმენტებით გათვალისწინებული პირების, ასევე, თვითნებურად შესახლებული პირების ინტერესთა გათვალისწინებით, გამოიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №22.2101.2251 განკარგულება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის №21 განკარგულება. აღნიშნული განკარგულებების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას დაევალა ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი N33 (ს/კ 01.19.39.009.070)/კორპუსი N34, (ს/კ 01.19.39.009.007)/კორპუსი N35 (ს/კ 01.19.39.009.034)/კორპუსი N36 (ს/კ 01.19.39.009.088) და კორპუსი N37 (ს/კ 01.19.39.009.092)-თან დაკავშირებით გამოცემული - ქალაქ თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და თბილისის რაიონების გამგებების გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულ მოთხოვნის უფლების მქონე პირებს შესთავაზოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართები, წითელი აგურების კორპუსებში მდებარე ბინების სანაცვლოდ, იმ პირობით, რომ ისინი ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების, ასევე, არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე მათთვის მიკუთვნებულ ფართებზე მოთხოვნის უფლებას უსასყიდლოდ დაუთმოებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს. ასევე, უარს იტყვიან ხსენებული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით სხვა ნებისმიერ შესაძლო მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე, ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ამასთანავე, უარს იტყვიან ხსენებული გადაწყვეტილებებით მინიჭებული უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით, რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარდგენილ საჩივარზე/სარჩელზე. ხოლო ზემოაღნიშნული საკითხის დარეგულირების შემდგომ, განიხილოს ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი N33 (ს/კ 01.19.39.009.070)/კორპუსი N34, (ს/კ 01.19.39.009.007)/კორპუსი N35 (ს/კ 01.19.39.009.034)/კორპუსი N36 (ს/კ 01.19.39.009.088) და კორპუსი N37-ში (ს/კ 01.19.39.009.092) არსებული

თვითნებურად დაკავებული ფართების შესაბამისი ფაქტობრივი მოსარგებლებებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

უფლების დამდგენი დოკუმენტებით გათვალისწინებული პირებისათვის გადასაცემი ფართები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში მიღებული აქვს სხვადასხვა კომპანიების მიერ, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების გამო მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენების სანაცვლოდ. შესაბამისად, აღნიშნულ კომპანიასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებულ, 20.09.2019 წლის თარიღის „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებებში“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს უფლებამონაცვლედ განისაზღვრება დანართი №1-ით გათვალისწინებული შესაბამისი პირი.

წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N35-ის მიმდებარედ, N01.17.10.002.264.01.02.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართი 39 კვმ პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით გადაეცემა 1 პირს.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. N2ა-ში მდებარე N115 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.287.01.01.115) და ქალაქ თბილისში, სოფელ დილოში, ვეფხისტყაოსანის ქ. N22, N24-ში მდებარე N121 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.963.01.01.121) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე, N01.14.14.003.143 და N01.14.14.003.102 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორია წარმოადგენს დაუსრულებელ მშენებლობას, რომელიც წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემაა ამ მშენებლობით დაინტერესებული პირებისთვის. ეს მშენებლობა ითვალისწინებდა გარკვეულ პირთა საცხოვრებელი დასაკმაყოფილებლად მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის აშენებას. მშენებლობის მწარმოებლად განისაზღვრა შპს „ამირანი“ (ს/ნ: 208153996), რომლის მიერ განსახორციელებელი სამშენებლო ღონისძიებები გაჭიანურდა. შემდგომ პერიოდში მიღებული, მუნიციპალური ორგანოების და სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, აღნიშნულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულებები, რომლებიც, ამ დაუსრულებელი ობიექტის ნაწილში ითვალისწინებდა მშენებლობის გაგრძელების და მისი დასრულების ვალდებულებას. კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულებები მოიშალა და მშენებარე ობიექტი დარჩა დაუსრულებელ მდგომარეობაში. დღეისათვის, ობიექტში რეგისტრირებულია როგორც ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებული ფართები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის და შპს „ამირანის“, საკუთრებად რეგისტრირებული ფართები.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებებით მიმართეს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 87 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.001.062) თანამესაკუთრებმა და აღნიშნული ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვეს ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. N2ა-ში მდებარე 84.5 კვ.მ ფართობის N115 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.287.01.01.115) და ქალაქ თბილისში, სოფელი დილოში, ვეფხისტყაოსანის ქ. N22, N24-ში მდებარე 50.4 კვ.მ ფართობის N121 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.963.01.01.121) თანასაკუთრებაში გადაცემა.

აღნიშნულ პირთა თანასაკუთრებაში არსებული 87 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.062) საბაზრო ღირებულება შეადგენს 339561 ლარს; სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, N01.10.06.006.287.01.01.115 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 212856 ლარის ოდენობით. იგივე დასკვნით, N01.72.14.035.963.01.01.121 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 124286 ლარის ოდენობით (ჯამურად: 337142 ლარი).

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნულ პირთათვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას და მათ ფართზე მათი თანასაკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N110 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.110) და ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქ. N35-ის მიმდებარე N2 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.264.01.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, საკითხი წინა საკითხის ანალოგიურია. ამ შემთხვევაში სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მიმართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 87 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.059) მესაკუთრემ და აღნიშნული ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N110 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.12.001.414.01.01.110) და ქ. თბილისში, წულუკიძის ქ. N35-ის მიმდებარე რეგისტრირებული N2 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.002.264.01.01.002) საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული პირის საკუთრებაში არსებული ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.059) საბაზრო ღირებულება შეადგენს 339561 ლარს; N01.12.12.001.414.01.01.110 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის საბაზრო ღირებულება, განისაზღვრა 189968 ლარის ოდენობით. N01.17.10.002.264.01.01.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის საბაზრო ღირებულება, განისაზღვრა 145646 ლარის ოდენობით (ჯამურად: 335614 ლარი).

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნული პირისთვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას და მის ფართზე მისი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N56 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.394.01.01.056) და ქალაქ თბილისში, რამაზ შენგელიას ქ. N3-ში მდებარე N2 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.448.01.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის განცხადებით მიმართეს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 105.6 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.058) თანამესაკუთრებმა და აღნიშნული ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვეს ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N12-ში მე-7 სართულზე მდებარე 88.2 კვ.მ N56 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.394.01.01.056) და ქალაქ თბილისში, რამაზ შენგელიას ქ. N3-ში მე-3 სართულზე 71.49 კვ.მ N2 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.448.01.01.002) თანასაკუთრებაში გადაცემა.

აღნიშნულ პირთა თანასაკუთრებაში არსებული 105.6 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.058) საბაზრო ღირებულება შეადგენს 412156.8 ლარს; N01.14.05.008.394.01.01.056 და N01.11.13.002.448.01.01.002 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულებები, განისაზღვრა შესაბამისად - 253222 ლარის და 158636 ლარის ოდენობით (ჯამურად: 411858 ლარი).

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნულ პირთათვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას და მათ ფართზე მათი თანასაკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ბარბარე ბაირამაშვილის ქ. N31-ში მდებარე N1 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.11.17.027.014.01.01.001), ქალაქ თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N29 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.079.01.01.029) და ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის

ქ. N19-ში მდებარე N73 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.10.06.002.041.01.01.073) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მიმართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 105.6 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.046) მესაკუთრის მინდობილმა პირმა და აღნიშნული ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ქალაქ თბილისში, ბარბარე ბაირამაშვილის ქ. N31-ში მდებარე N1 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.11.17.027.014.01.01.001), ქალაქ თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N29 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.079.01.01.029) და ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. N19-ში მდებარე N73 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.10.06.002.041.01.01.073) ტიერი ბერიშვილისთვის საკუთრებაში გადაცემა.

აღნიშნული პირის საკუთრებაში არსებული 105.6 კვ.მ ბინის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.046) საბაზრო ღირებულება შეადგენს 412156.8; N01.11.17.027.014.01.01.001; N01.17.07.024.079.01.01.029 და N01.10.06.002.041.01.01.073 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულება, განისაზღვრა შესაბამისად: 169171 (ას სამოცდაცხრა ათას ას სამოცდათერთმეტი), 119920 (ას ცხრამეტი ათას ცხრაას ოცი) ლარის და 122566 (ას ოცდაორი ათას ხუთას სამოცდაექვსი) ლარის ოდენობით (ჯამურად: 411657 ლარი).

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნული პირისთვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას და მის ფართზე მისი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, თოიძის ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.049.002.01.508) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, თოიძის ქუჩა N21-ში, შენობა N3-ში, პირველ სართულზე, არსებული 39.06 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.16.06.049.002.01.508) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა (1 პირს (1 ოჯახს) რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ აღნიშნული პირი დაახლოებით 25-30 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მესხეთის ქუჩა N10/კაკაბეთის ქუჩა N7ა-ში მდებარე 13.65 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.17.09.055.009.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, მესხეთის ქუჩა N10/კაკაბეთის ქუჩა N7ა, 1 სართულზე არსებული 13.65 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.09.055.009.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს (1 ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დასტურდება, რომ დაახლოებით 2010 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის N23.1435.1613 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის განკარგულებების თანახმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115, მე-2 სართულზე არსებული 31.49 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031.01.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების გამოცემის შემდგომ, ქონების მართვის სააგენტოსთვის ცნობილი გახდა ამ პიროვნების გარდაცვალების ფაქტის შესახებ, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ სააგენტოში წარდგენილ იქნა გამგეობის შუამდგომლობები, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115, მე-2 სართულზე არსებული 31.49 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031.01.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, გარდაცვლილი პირის მემკვიდრის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

შსს-ს ცნობებით დასტურდება, რომ აღნიშნული პირის მემკვიდრე 2023 წლის დასაწყისიდან ცხოვრობს გარდაცვლილი მამის მიერ ფაქტობრივად დაკავებულ უძრავ ქონებაში (ფართში).

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N63ბ-ში არსებული 13.88 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.13.039.003.01.529) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N63ბ, სართული 2-ზე არსებული 13.88 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.13.039.003.01.529) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს(ოჯახს) ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დასტურდება, რომ აღნიშნული პირი 2012 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.105.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“საკრ.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩა N21-ში, პირველი სართულზე არსებული 49.14 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.105.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს (1 ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ აღნიშნული პირი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 1999 წლიდან; ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ცხოვრობს 1995 წლიდან.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.107.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N21-ში, პირველ სართულზე არსებული 153.47 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.107.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს(1 ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ აღნიშნული პირი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2010 წლიდან.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, რაფაელ აგლაძის ქუჩა N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.05.009.015.01.514) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, თბილისში, რაფაელ აგლაძის ქუჩა N30-ში, მეორე სართულზე არსებული 55.01 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.13.05.009.015.01.514) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს (1 ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ აღნიშნული პირი ოჯახთან ერთად ცხოვრობს 1976 წლიდან.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ეგნატე ნინოშვილის ქუჩა N57-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.014.019.02.019ა) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ეგნატე ნინოშვილის ქუჩა N57-ში, მესამე სართულზე, არსებული 17.50 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.16.01.014.019.02.019ა) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს (1 ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ აღნიშნული პირი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 1997 წლიდან.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, დიდი დიდომის დასახლება მე-3 მიკრორაიონის კორპუს N23-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.003.01.054) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, დასახლება დიდ დიდომში, მე-3 მიკრორაიონის კორპუს N23-ში, არსებული 56.26 კვ.მ ფართის ბინა (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.003.01.054) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ აღნიშნული პირი ოჯახთან ერთად დაახლოებით 20 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ცხოვრობს 2003 წლიდან.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429.01.558) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუს N1-ში, მე-5 სართულზე არსებული 24.67 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429.01.558) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ აღნიშნული პირი მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2010 წლიდან.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის მე-2 შესახვევი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.024.004.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის მე-2 შესახვევი N4-ში, პირველ სართულზე არსებული 78.39 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.11.03.024.004.02.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს (1 ოჯახს) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ აღნიშნული პირი მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2000 წლიდან;

აღნიშნული პირს (1 პირს (1 ოჯახს) გადაეცემა 1 ერთეული 78.39 კვ.მ.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ველის სასაფლაოზე არსებული 710 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.31.004.103) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად, გადაეცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ქონება: ქ. თბილისი, ველის სასაფლაოს მიმდებარედ არსებული 710 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.19.31.004.103).

საპრივატიზებო საფასური შეადგენს სიმბოლური თანხას, 1 (ერთი) ლარს;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2024 წლის 17 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველმა მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქალაქ თბილისში, ველის სასაფლაოს მიმდებარედ არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.31.004.045) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაეცემა, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, შპს „ჰერმესის“ და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო მიერ გაცემულია დადებითი ქალაქგეგმარებითი პოზიცია/რეკომენდაცია მიწის ნაკვეთის განსაზღვრული კონფიგურაციით, კერძოდ, ფაქტობრივი გზის გამოკლებით, გზის პარამეტრების გათვალისწინებით, განკარგვის თაობაზე.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ, წარმოდგენილი დოკუმენტაციების შესაბამისად, 2024 წლის 22 აგვისტოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მიმართვის შემდგომ განახორციელა N01.19.31.004.045 საკადასტრო ერთეულის გამიჯვნა და 710 კვ.მ მიწის ნაკვეთის N01.19.31.004.103 საკადასტრო კოდით რეგისტრაცია.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 19 ივლისის № ე-35-13-820 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის ცვლილების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 19 ივლისის № ე-35-13-820 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე, ზურაბ ზითანიშვილს საკუთრების უფლებით გადაეცა ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი №76-ის მიმდებარედ არსებული 70 კვ.მ უძრავი ქონება (ს/კ: 01.11.04.026.076 (დღეის მდგომარეობით: 01.11.04.026.148); ოქმის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ქონების განკარგვა განხორციელდა შემდეგი პირობით - „მშენებლობის უფლების გარეშე“. ქონების მესაკუთრეს დღეის მდგომარეობით წარმოადგენს შპს „იმედი 2“

აღსანიშნავია, რომ ქონებაზე, მისი განკარგვის დროს (2011 წელს) ვრცელდებოდა ფუნქციური ზონა - სამრეწველო ზონა (ს-1), ხოლო „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ქონებაზე გავრცელდა ფუნქციური ზონა - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

ქონების შემდენმა განცხადებით მიმართა სააგენტოს და აცნობა, რომ №01.11.04.026.148 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გეგმავს მშენებლობას, რისთვისაც სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში შესათანხმებლად წარდგენილია სამშენებლო პროექტი AR11008477 სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში. კომპანია მიუთითებს, რომ, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, პრივატიზებული ქონების ტერიტორიაზე არ გეგმავს შენობის ან მისი ნაწილის განთავსებას, თუმცა სურს მიწის ნაკვეთის ეს ნაწილი გამოყენებულ იქნას №01.11.04.026.148 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამშენებლო კოეფიციენტების გაანგარიშებისას. შესაბამისად, ქონების შემდენი ითხოვს ქონებაზე არსებული პირობის („მშენებლობის უფლების გარეშე“) ცვლილებას.

წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 19 ივლისის № ე-35-13-820 „აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება)“ მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის „ა“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„მშენებლობის უფლების გარეშე. სხვა მიწის ნაკვეთთან გაერთიანების შემთხვევაში, მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად, სამშენებლო კოეფიციენტების (კ-1, კ-2, კ-3) საანგარიშო ფართობის დათვლისას გათვალისწინების უფლებით. არსებული სერვიტუტის შენარჩუნების პირობით.“

აღნიშნული ცვლილება ხორციელდება იმ პირობით, რომ სააგენტოს მიერ ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში ქონების შემდენი უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 41 020 (ორმოცდაერთი ათას ოცი) ლარის გადახდას.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ნუგუბიდის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ნუგუბიდის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონებები პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 14 პირს (14 ოჯახს), რომლებიც წარმოადგენენ ყოფილი N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებს, საკუთრებაში გადაცემის საკითხთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული პირები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით, რაც დასტურდება მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობ(ებ)ითა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილით,

მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო წლებში, კოოპერატივის წევრების უძრავი ქონებით უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ე.წ. კოოპერატიული პროექტებისგან განსხვავებული ფაქტობრივი მოცემულობა. კერძოდ, N01.14.16.008.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს იმ მიწის ნაკვეთს, რომელიც ე. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1987 წლის 13 აგვისტოს N20.47.512 გადაწყვეტილების მიხედვით, გამოყოფილი იყო N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივისათვის. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლები აშენებულია და მასში ფაქტობრივად ცხოვრობენ ამავე კოოპერატივის წევრების/მათი უფლებამონაცვლეების ნაწილი. აღნიშნული კოოპერატივის წევრთა ნაწილი, სააგენტომ გადაანაწილა სხვადასხვა პროექტებში და დღეის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფის გარეშე დარჩენილი არიან ის პირები, ვისაც ფაქტობრივად ზემოაღნიშნულ მისამართზე აქვთ დაკავებული საცხოვრებელი ფართები, რომელიც N620 კოოპერატივის წევრებისთვის იყოს გამოყოფილი. ზემოაღნიშნულ ფაქტობრივი გარემოებები დადასტურებულია აღნიშნული კოოპერატივის უფლებამონაცვლე ამხანაგობის - „ნუცუბიძის პლატო 620“-ის თავმჯდომარის განცხადებითაც. შესაბამისად, აღნიშნული პირებისთვის მათ ფაქტობრივი მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემით, მუნიციპალიტეტის ვალდებულება აღნიშნული კოოპერატივის წინაშე შესრულებული იქნება, ვინაიდან, ზემოაღნიშნულ ფართებზე მათ საკუთრების უფლება გადაეცემათ მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. წარმოდგენილი პროექტით, გათვალისწინებულია ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების პრივატიზება N620 კოოპერატივის წევრების/უფლებამონაცვლეების იმ ნაწილისათვის, ვისაც მოცემულ მომენტში სააგენტოში წარდგენილი აქვთ სრულყოფილი დოკუმენტაცია. დარჩენილ პირებთან დაკავშირებით წარმოება მიმდინარეობს და მათთვის ფართების გადაცემა განხორციელდება ეტაპობრივად, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის გათვალისწინებით.

მომხრე-7 .

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ეს საკითხი წინა საკიტხის ანალოგიურია. ამ შემთხვევაში კმაყოფილდება 10 პირი (10 ოჯახი), რომლებიც წარმოადგენენ ყოფილი N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებს.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ლოჯიკ გრუპს“ (ს/ნ: 205201191) შორის 2007 წლის 08 მაისს გაფორმებულ „შპს „სპორტის სასახლის“ ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის თხოვების სახით (მართვის უფლებით) გადაცემის თაობაზე“ ხელშეკრულებაში (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №2450/1) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ლოჯიკ გრუპის“ (ს/ნ: 205201191) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ლოჯიკ გრუპს“ (ს/ნ: 205201191) შორის 2007 წლის 08 მაისს გაფორმებული „შპს „სპორტის სასახლის“ ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის თხოვების სახით (მართვის უფლებით) გადაცემის თაობაზე“ ხელშეკრულების (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №2450/1) საფუძველზე, მმართველ კომპანიას, 30 წლის ვადით, მართვის უფლებით გადაეცა შპს „სპორტის სასახლის“ (ს/ნ: 211360944) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი.

ხელშეკრულების თანახმად, მმართველმა კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის: 2007 წლის 01 სექტემბრამდე, უზრუნველყოს სპორტის სასახლის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, სასახლის აღჭურვა „ფიბა“-ს სტანდარტებით გათვალისწინებული საჭირო მოწყობილობებით, საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად (ხელშეკრულების 3.1.2 პუნქტი);

2007 წლის 01 სექტემბრიდან, 8 თვის ვადაში უზრუნველყოს სპორტის სასახლის კონსტრუქციული შემოწმება და შესაბამისი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე (შენობა-ნაგებობის საინჟინრო მდგომარეობის გათვალისწინებით), საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ინვესტიციების განხორციელება (ხელშეკრულების 3.1.3 პუნქტი); არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება შემდეგი გრაფიკით (ხელშეკრულების 3.1.4 პუნქტი);

არანაკლებ 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარი - 2007 წლის 01 სექტემბრამდე

ინვესტიციის დარჩენილი ნაწილი - ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 წლის ვადაში (08.05.2010 წ.)

„შპს „სპორტის სასახლის“ ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100% წილის თხოვების სახით (მართვის უფლებით) გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მერიასა (მთავრობას) და შპს „ლოჯიკ გრუპს“ შორის 2007 წლის 8 მაისს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის №18.21.686 დადგენილების საფუძველზე, განმეორებით განხორციელდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების (ხელშეკრულების 3.1.4 პუნქტი) ცვლილება და დარჩენილი ინვესტიციის განხორციელების ვადად, 2012 წლის 1 სექტემბრის ნაცვლად, განისაზღვრა 2014 წლის 1 სექტემბერი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 18 მაისის №19.16.435 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 08 ივლისის №183 განკარგულების საფუძველზე 2016 წლის 27 ივლისს ქალაქ თბილისის მთავრობასა და მმართველ კომპანიას შორის გაფორმებული „შპს „სპორტის სასახლის“ ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100% წილის თხოვების სახით (მართვის უფლებით) გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მერიასა (მთავრობას) და შპს „ლოჯიკ გრუპს“ შორის 2007 წლის 8 მაისს გაფორმებულ ხელშეკრულებაში (რეგისტრაციის №2450/1) ცვლილების შეტანის თაობაზე“ შეთანხმებით განხორციელებული ცვლილების შედეგად ხელშეკრულების 3.1.4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3.1.4 განახორციელოს არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია, ამასთან, არანაკლებ 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს 2007 წლის 1 სექტემბრამდე, ხოლო ინვესტიციის დარჩენილი ნაწილი - არაუმეტეს 2017 წლის 1 სექტემბრამდე“, იმ პირობით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით, შპს „ლოჯიკ გრუპი“ (ს/კ: 205201191) განახორციელებს სპორტის სასახლის გარე ტერიტორიაზე ავტოსადგომის მოწესრიგებას და გარე ტერიტორიის კეთილმოწყობას დანართით წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით“.

მმართველი კომპანიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილია არანაკლებ 2025 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით მოქმედი, 300 000 (სამასი ათასი) აშშ დოლარი ოდენობის საბანკო გარანტია.

კომპანიის 2018 წლის 31 მაისის წერილით, სააგენტოში წარდგენილ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის თანახმად მმართველი კომპანიის მიერ 2018 წლის 19 აპრილის მდგომარეობით ინვესტიციის სახით გაწეული დანახარჯები შეადგენს მხოლოდ 2 950 390.2 აშშ დოლარს. ვინაიდან, აღნიშნული დასკვნა არ შეიცავდა სრულყოფილ ინფორმაციას ხელშეკრულებაზე დართული გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ, სააგენტოს წერილით, კომპანიას კვლავ განესაზღვრა ვადა შესაბამისი ინფორმაციის შემცველი დასკვნის წარმოდგენისთვის. ასევე მმართველ კომპანიას ეცნობა, ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, მეორე გაფრთხილების მიღების თარიღიდან (07.11.2018 წ.) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზრდადი პირგასამტეხლოს (ინვესტიციის სრული მოცულობის 0.02%-ის ოდენობით - 1 000 აშშ დოლარი) დარიცხვის დაწყების თაობაზე.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდევინების მიზნით, სააგენტომ 2022 წელს მიმართა ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სააგენტოს მოთხოვნა, კომპანიას დაეკისრა პირგასამტეხლო დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის (2 049 609.80 (ორი მილიონ ორმოცდაცხრა ათას ექვსას ცხრა და ოთხმოცი მესაედი) აშშ დოლარი) 0.02%-ის (409.92 (ოთხას ცხრა და ოთხმოცდათორმეტი მესაედი) აშშ დოლარი) ოდენობით, რაც აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების (08.06.2023 წ.) თარიღისთვის შეადგენს 530 846.40 (ხუთას ოცდაათი ათას რვაას ორმოცდაექვსი და ორმოცი მესაედი) აშშ დოლარს და ზრდადია ყოველდღიურად 409.92 (ოთხას ცხრა და ოთხმოცდათორმეტი მესაედი) აშშ დოლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 08 ივნისის გადაწყვეტილება როგორც სააგენტოს, ასევე კომპანიის მიერ გასაჩივრებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით. დღეის მდგომარეობით, აღნიშნული საკითხი განხილვის პროცესშია.

კომპანიამ, 2024 წლის 12 ნოემბრის წერილით მიმართა სააგენტოს და ითხოვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდა შესაბამისი შეთანხმების გაფორმებიდან 20 წლამდე ვადით (ვადა დაახლოებით გაიზრდება დამატებით 7.5 წლით), ასევე საინვესტიციო ვალდებულების შესრულების მიზნით, ახალი ვადის განსაზღვრა (ცვლილების

შეთანხმების გაფორმებიდან არანაკლებ 24 თვე). სანაცვლოდ, მმართველი კომპანია მზადაა უზრუნველყოს სპორტის სასახლის შენობაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება, სასახლის მოწყობა/აღჭურვა მრავალფუნქციური დანიშნულებით, მათ შორის კალათბურთის მოედნის მოწყობა/აღჭურვა შეთანხმებული სტანდარტის შესაბამისად. ასევე, მმართველი კომპანია გამოთქვამს მზაობას გაზარდოს ინვესტიციის ოდენობა, კერძოდ უკვე განხორციელებულ ინვესტიციაზე (2 950 390.20 (ორი მილიონ ცხრაას ორმოცდაათი ათას სამას ოთხმოცდაათი და ოცი მესხედი) აშშ დოლარი) დამატებით, ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 თვის ვადაში, უზრუნველყოს არანაკლებ 4 000 000 (ოთხი მილიონი) აშშ დოლარის ინვესტიციის (დღგ-ის გარეშე) განხორციელება. აღნიშნული ინვესტიციის ანგარიშში ასევე ჩაითვლება სპორტის სასახლის მოწყობის/აღჭურვის მიზნით საჭირო მოძრავი ქონების/ინვენტარის შეძენა/მოწყობა/მონტაჟის მიზნით განხორციელებული ინვესტიცია, არაუმეტეს 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობით და იმ პირობით, რომ ასეთი მოძრავი ქონება მშს „სპორტის სასახლისათვის“ გადაცემული იქნება საკუთრების უფლებით.

კომპანია, წარმოდგენილი განცხადებით ასევე ითხოვს, სპორტის სასახლის მიმდებარედ მოსაწყობი სარეკრეაციო სივრცის ფარგლებში პადელის დია სპორტული 1-დან 4-მდე (საკუთარი შეხედულებისამებრ) კორტის და მსუბუქი კონსტრუქციის კაფის განთავსების უფლებამოსილებას, ასევე, შეთანხმებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე საპარკინგე სივრცე(ებ)ის მოწყობის შესაძლებლობას. ასევე მოითხოვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს სრულად პატიება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული და მისგან გამომდინარე რიგი საკითხების ურთიერთშეთანხმების გზით დარეგულირების მიზნით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და მშს „ლოჯიკ გრუპს“ (ს/ნ: 205201191) შორის 2007 წლის 08 მაისს გაფორმებულ „მშს „სპორტის სასახლის“ ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის თხოვების სახით (მართვის უფლებით) გადაცემის თაობაზე“ ხელშეკრულებაში (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №2450/1) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და მშს „ლოჯიკ გრუპის“ (ს/ნ: 205201191) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 14 ნოემბრის №24.1917.2155 განკარგულების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია აღნიშნული განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად, ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხის მოწონება. ასევე, მიზანშეწონილია, ხსენებული შეთანხმების გაფორმებამდე დასაკისრებელი/დაკისრებული პირგასამტეხლოსგან კომპანიის გათავისუფლების საკითხის დაკმაყოფილება.

მომხრე-7 .

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და მშს „თაბორი რიზორტს“ შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-308-26-19647 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 3 მაისის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი NE-308-26-19647 ოქმისა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და მშს „თაბორი რიზორტს“ შორის 2016 წლის 13 მაისის გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-308-26-19647 ხელშეკრულების საფუძველზე, მშს „თაბორი რიზორტს“ საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ოქროყანის დასახლებაში მდებარე 297 576 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.160). N01.18.01.002.160 საკადასტრო ერთეულის მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან გაერთიანებისა და შემდგომ 3 ნაწილად დაყოფის შედეგად, დღევანდელი მდგომარეობით, ფორმირებულია N01.18.01.002.348, N01.18.01.002.349 და N01.18.01.002.350 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები.

ხელშეკრულების თანახმად, ჩატარებული აუქციონის განსაკუთრებულ პირობებად განისაზღვრა შემდეგი:

ა) აუქციონზე შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის, 6 326 495 (ექვსი მილიონ სამას ოცდაექვსი ათას ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარის, სრულად გადახდა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში;

ბ) სამშენებლო ნებართვის აღებიდან არაუგვიანეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, მაგრამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 48 (ორმოცდარვა) თვის ვადაში არანაკლებ 80 (ოთხმოცი) ნომრის სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, რომლის განაშენიანების ფართი, გარდა ტექნიკური დამხმარე ფართისა, უნდა იყოს არაუმეტეს 20 000 (ოცი ათასი) კვ.მ;

გ) სასტუმრო კომპლექსისთვის არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე გათვლილი ავტოსადგომის მოწყობა;

დ) ხელშეკრულების გაფორმებიდან სააუქციონო პირობების (ვალდებულებების) შესრულებამდე, პროექტის ფარგლებში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განახლება (ახალი ხე-ნარგავების შერგვა), ტერიტორიის კეთილმოწყობა, რეკრეაციული სივრცის განვითარება და საირიგაციო სისტემის მოწყობა.

შემდგომში მთავრობისა და საკრებულოს განკარგულებების საფუძველზე ცვლილება შევიდა მითითებულ ხელშეკრულებაში და ჩატარებული აუქციონის განსაკუთრებული პირობების „ბ“ პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ბ) არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა განახორციელოს არანაკლებ 80 (ოთხმოცი) ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, რომლის განაშენიანების ფართი, გარდა ტექნიკური/დამხმარე ფართისა, უნდა იყოს არაუმეტეს 20 000 (ოცი ათასი) კვ.მ.“.

აუქციონში გამარჯვებულმა 2024 წლის 2 ოქტომბერს განცხადებით მიმართა სააგენტოს და განმარტა, რომ დღევანდელი მდგომარეობით, განხორციელებულია/ხორციელდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმის მიუხედავად, რომ ხელშეკრულების მიხედვით, აუქციონში გამარჯვებულის ვალდებულებას წარმოადგენდა, მოეწყო სულ მცირე 50 მანქანაზე გათვლილი ავტოსადგომი და აუშენებინა არანაკლებ 80 ნომრიანი სასტუმრო, აღნიშნული ტერიტორიის სრულყოფილად განვითარების მიზნით, აუქციონში გამარჯვებულის განმარტებით, კომპანია უზრუნველყოფს 180 ავტომანქანაზე გათვლილი ავტოსადგომის მოწყობას და 177 ნომრიანი, 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობას.

ასევე, ხელშეკრულებით არ ყოფილა განსაზღვრული განსახორციელებელი ინვესტიციის მინიმალური ოდენობა, დღეის მდგომარეობით სასტუმრო კომპლექსის მშენებლობასა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების მიზნით, ჯამურად იგეგმება 170 000 000 აშშ დოლარზე მეტი ინვესტიციის განხორციელება, საიდანაც, გასული პერიოდის განმავლობაში უკვე გაწეულია 120 000 000 აშშ დოლარზე მეტი დანახარჯი.

ლოგისტიკურ პროცესებში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, რაც გამოწვეული იყო, როგორც პანდემიით, ასევე უკრაინაში მიმდინარე ომით, რამაც გამოიწვია გარკვეული სამშენებლო მასალების მოწოდების ვადების ზრდა (მათი წარმოების და მოწოდების ციკლების ვადების ზრდიდან გამომდინარე) და შესაბამისი გავლენა იქონია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადაში შესრულებაზე, შპს „თაბორი რიზორტის“ წარმომადგენელმა განცხადებით, პროექტის წარმატებით დასრულებისა და ამგვარი მნიშვნელოვანი სასტუმრო კომპლექსის ამოქმედების ხელშეწყობის მიზნით, მოითხოვა ხელშეკრულების „ბ“ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადის (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით) 1 წლით გაგრძელება - 2025 წლის 31 დეკემბრამდე.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ინვესტ მშენ 1“-ს (ს/ნ: 425368149) შორის 2022 წლის 19 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდ დიღომში, III მიკრო რაიონში, კორპუსი N4-ის მიმდებარედ, N01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6002 კვ. მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ინვესტ მშენ 1“-ის (ს/ნ: 425368149) გათავისუფლების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, თანხმობა ეძლევა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ინვესტ მშენ 1“-ს (ს/ნ: 425368149) შორის 2022 წლის 19 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდ დიღომში, III მიკრო რაიონში, კორპუსი N4-ის მიმდებარედ, N01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6002 კვ. მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულების 3.1. და 3.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან (399 000 (სამას ოთხმოცდაცხრამეტი ათასი)), შპს „ინვესტ მშენ 1“-ის (ს/ნ: 425368149) გათავისუფლების თაობაზე.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის განკარგულებების საფუძველზე განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ინვესტ მშენ 1“-ისათვის ქ. თბილისში, დიდ დიდობში, III მიკრო რაიონში, კორპუსი N4-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6002 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, ქონების მართვის სააგენტოსა და ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ინვესტ მშენ 1“-ს შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, დიდ დიდობში, III მიკრო რაიონში, კორპუსი N4-ის მიმდებარედ, N01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6002 კვ. მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კოოპერატივის წევრებმა, ზემოხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე. ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, რომელთა შესასრულებლად განესაზღვრა კონკრეტული ვადები.

ხელშეკრულება გაფორმდა 2022 წლის 19 სექტემბერს. შესაბამისად, ხელშეკრულების 3.4. პუნქტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვება კომპანიას უნდა უზრუნველყო არაუგვიანეს 2023 წლის 19 ივნისისა. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ოფიციალურ ვებ.გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 17 ივლისის №6563550 ბრძანებით შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი, ხოლო ამავე სამსახურის 2023 წლის 30 აგვისტოს №6638162 ბრძანებით გაიცა სამშენებლო ნებართვა .

გამომდინარე აქედან, 2023 წლის 19 ივნისიდან 2023 წლის 30 აგვისტომდე (სამშენებლო ნებართვის ფაქტობრივად აღებამდე) გასულია 72 (სამოცდათორმეტი) დღე, რისთვისაც ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის მიხედვით კომპანიისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 216 000 (ორასთექვსმეტი ათასი) ლარს.

თათია ბარაქაძემ აღნიშნა, ხელშეკრულების 3.1. პუნქტის შესაბამისად, სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე კომპანიას ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაციის (ე.წ. „განშლა“) გზით, შესაბამის ფართებზე კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაცია უნდა განხორციელებინა შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან, მოცემულ შემთხვევაში, 2023 წლის 30 აგვისტოდან - არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში ანუ არაუგვიანეს 2023 წლის 30 ოქტომბრამდე. თუმცა ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერები სხვადასხვა მიზეზთა გამო, საბოლოოდ მომზადდა 2024 წლის 10 იანვარს. შესაბამისად, 2023 წლის 30 ოქტომბრიდან 2024 წლის 10 იანვრამდე (ე.წ. ცალკეულ ინდივიდუალურ ფართებზე კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაციის, ამონაწერების ფაქტობრივი მდგომარეობით დასრულებამდე) გასულია 72 (სამოცდათორმეტი) დღე, რისთვისაც კომპანიისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს ასევე. 216 000 (ორასთექვსმეტი ათასი) ლარს.

აღსანიშნავია რომ კომპანიის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებებით განმარტებულ იქნა ობიექტური მიზეზები, რამაც განაპირობა ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევა. გარდა ამისა, კომპანიამ გამოთქვა მზადყოფნა, 2024 წლის 19 აგვისტოდან 2024 წლის 30 აგვისტომდე პერიოდზე (11 (თერთმეტი) დღე) დასაკისრებელი პირგასამტეხლოს (33 000 (ოცდაცამეტი ათასი) ლარი) გადახდაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების 3.1 და 3.4 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისთვის კომპანიისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა განისაზღვრება - 432 000 (ოთხას ოცდათორმეტი ათასი) ლარით, თუმცა ვინაიდან კომპანიის მიერ გამოთქმულია მზადყოფნა, 2024 წლის 19 აგვისტოდან 2024 წლის 30 აგვისტომდე პერიოდზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოს, 33 000 (ოცდაცამეტი ათასი) ლარის გადახდაზე, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, კომპანის გათავისუფლებას დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან, ჯამურად 399 000 (სამას ოთხმოცდაცხრამეტი ათასი) ლარის ოდენობით.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის მიერ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი და საჯარო რეესტრში ე.წ. „განშლის“ საფუძველზე რეგისტრირებული მშენებარე ცალკეული ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართები არ არის შესაბამისობაში ხელშეკრულების 3.8. პუნქტთან, რომლის მიხედვითაც აივანის ფართი არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი პირისათვის გადაცემული ინდივიდუალური ფართის 10%-ს, თუმცა კომპანიის მიერ 2024 წლის განცხადებით წარმოდგენილია ნოტარიული წესით დამოწმებული დოკუმენტი/თანხმობა, რომლის მიხედვითაც კოოპერატივის წევრები ადასტურებენ, რომ მათთვის ცნობილია კომპანიის მიერ ხელშეკრულების 3.8. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის თაობაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით, არ გააჩნიათ/არც მომავალში წარმოეშვებათ რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის/სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, კომპანიის მიმართ და შესაბამისად, თანახმა არიან N01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში, საჯარო რეესტრის შესაბამისი ამონაწერებით მათ საკუთრებად რეგისტრირებულ შესაბამის მშენებარე ფართებზე, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „არომას“ (ს/ნ 245599990) შორის 2022 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიდმის დასახლება, III და IV მიკრორაიონებს შორის N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის“ (ს/ნ 245599990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „არომას“ (ს/ნ 245599990) გათავისუფლების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N359 განკარგულებების საფუძველზე განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის“ (ს/ნ: 245599990) ქალაქ თბილისში, დიდი დიდმის დასახლება, III და IV მიკრორაიონებს შორის არსებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 19000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, 2022 წლის 23 აგვისტოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქონების მართვის სააგენტოს ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „არომას“ (ს/ნ: 245599990) შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, დიდი დიდმის დასახლება, III და IV მიკრორაიონებს შორის N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის“ (ს/ნ: 245599990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კოოპერატივის წევრებმა, ზემოთხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის, ხელშეკრულების 3.1 პუნქტის თანახმად, „კომპანია ვალდებულია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადებში, შესაბამისი სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე განახორციელოს ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაცია (ე.წ. „განშლა“) და ამ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ პირებს საჯარო რეესტრში მათი მომავალ მესაკუთრედ რეგისტრაციის გზით, გადასცეს სამომავლო საკუთრების უფლება ამავე ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე - შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში“, ასევე, ხელშეკრულების 3.4 პუნქტის მიხედვით, „კომპანია ვალდებულია სამშენებლო პროექტი განახორციელოს 3 ლოტად (3 შენობა-ნაგებობად), ხოლო შენობა-ნაგებობების სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და

მშენებლობის ნებართვების სრულად მოპოვება უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 12 (თორმეტი) თვის ვადაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.“ ამავე ხელშეკრულების 6.1.1. პუნქტის თანახმად, ინტერესთა გამოსატყობი წარდგენილი წინადადების, ამ ხელშეკრულების გაფორმების და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ნაკისრი ვალდებულებების (კერძოდ, სამშენებლო ნებართვების მოპოვების, ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე შესაბამის პირთა მომავალი საკუთრების უფლების რეგისტრაციისა და ამ ვალდებულებების შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადამდე შესასრულებელი ყველა სხვა ვალდებულების) შესრულების უზრუნველსაყოფად, კომპანიამ სააგენტოს სასარგებლოდ წარმოადგინა 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია.

ამასთან, ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის მიხედვით, „იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაარღვევდა ხელშეკრულების 6.1.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადას, მას დაეკისრებოდა სააგენტოსთვის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება საბანკო გარანტიის ჯამური ოდენობის 0,1 %-ის ოდენობით (2 000 - ორი ათასი - ლარის ოდენობით) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელშეკრულება გაფორმდა 2022 წლის 23 აგვისტოს, შესაბამისად, ხელშეკრულების 3.4. პუნქტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობების სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვების მოპოვება კომპანიას უნდა უზრუნველყოს არაუგვიანეს 2023 წლის 23 აგვისტოსა. საბოლოოდ, კომპანიამ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის:

„ა“ ბლოკზე/ლოტზე მშენებლობის ნებართვა მოიპოვა 2024 წლის 10 იანვრის №6836812 ბრძანებით (განცხადების ნომერი AR11005572; წარდგენის თარიღი: 16/12/2023წ);

„ბ“ ბლოკზე/ლოტზე - 2023 წლის 26 დეკემბრის №6822471 ბრძანებით (განცხადების ნომერი AR11005203; წარდგენის თარიღი: 16/12/2023წ);

„ც“ ბლოკზე/ლოტზე - 2023 წლის 27 დეკემბრის №6824455 ბრძანებით (განცხადების ნომერი AR11005865; წარდგენის თარიღი: 18/12/2023წ).

კომპანიის მიერ დარღვეულია ხელშეკრულების 3.4. პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადა, თუმცა კომპანიის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებებით განმარტებულ იქნა ობიექტური მიზეზები, რამაც განაპირობა ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევა. როგორც კომპანიამ წარმოდგენილ განცხადებებში განმარტა, არქიტექტურულ პროექტზე მუშაობის დაწყების პერიოდში, კანონმდებლობა ითხოვდა პროექტში სახანძრო მანქანების სამოძრაო სქემის გათვალისწინებას, რაც შესრულებულ იქნა კომპანიის მიერ, თუმცა აღნიშნული რეგულაცია მალევე გაუქმდა, რის გამოც საჭირო გახდა პროექტის სრულად კორექტირება და აღნიშნულმა პროცესმა გავლენა მოახდინა პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიის ვრცელ ნაწილს ჰკვეთს მდინარის კოლექტორი და მის ნაწილზე ვრცელდება მდინარის წყალდაცვითი ზონა (აღნიშნული აგრეთვე, დასტურდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის საიტზე განთავსებული ინფორმაციითაც. მდინარის კოლექტორისა ან/და წყალდაცვითი ზონის კონფიგურაცია/არეალი საჭიროებდა დაზუსტებას, რაც ხორციელდებოდა შპს „თბილსერვის ჯგუფთან“ შეთანხმებით, შეზღუდვის არელების დაცვით. ამასთან, კომპანიას აგრეთვე, უნდა უზრუნველყოს ზემოაღნიშნულ საპროექტო ტერიტორიაზე ე.წ. „წორწორას“ მშრალი ხევის შემდგომი მოწყობისა და საპროექტოდ მომზადებისთვის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში რეკულტივაციის პროექტის მომზადება/შეთანხმება, რასაც, კომპანიის განმარტებით დაახლოებით 6 (ექვსი) თვე დასჭირდა. გარდა ამისა, კომპანიამ აღნიშნა, რომ უძრავ ქონების ნაწილს ჰკვეთდა შპს „თბილისი ენერჯის“ (ს/ნ: 205129617) საკუთრებაში არსებული საშუალო წნევის გაზსადენი. კომპანიის განმარტებით, მათ განცხადებით მიმართეს შპს „თბილისი ენერჯის“, თუმცა არ მოხდა დადგენილ ვადებში პასუხის მიღება.

როგორც თათია ბარაქაძემ აღნიშნა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება რომ კომპანიის მიერ, სამივე („ა“ ; „ბ“ და „ც“) ლოტზე/ბლოკზე სამშენებლო ნებართვების ფაქტობრივი მდგომარეობით მოპოვებამდე, ხელშეკრულებიდან გამომდინარე დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 280 000 ლარს. ამასთან, ხელშეკრულების შესაბამისად, სამშენებლო ნებართვების საფუძველზე კომპანიას ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაციის (ე.წ. „განშლა“) გზით, შესაბამის ფართებზე კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაცია უნდა განეხორციელებინა შესაბამისი მშენებლობის ნებართვების მოპოვებიდან, 2024 წლის 10 იანვრიდან - არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში (არაუგვიანეს 2024 წლის 10 აპრილის ჩათვლით). შესაბამისად, 2024 წლის 11 აპრილიდან 2024 წლის 17 ივლისამდე (ე.წ. ცალკეულ ინდივიდუალურ ფართებზე კოოპერატივის წევრების) სამომავლო საკუთრების უფლების რეგისტრაციის, ბოლო ამონაწერების ფაქტობრივი მდგომარეობით დასრულებამდე) გასულია 98 დღე, რისთვისაც კომპანიისთვის ხელშეკრულების შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა

შეადგენს 196 000 ლარს. შესაბამისად, ორივე ვალდებულების დარღვევისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ჯამურად 476 000 ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ხელშეკრულების 3.1. და 3.4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან, (476 000 ლარის ოდენობით) შპს „არომას“ გათავისუფლებას.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ 406024270) შორის 2012 წლის 26 სექტემბერს გაფორმებულ „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ 406024270) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ას ჯორჯიას“ 2012 წლის 26 სექტემბერს დაიდო „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულება (მასში 04.06.2018 წელს შესული ცვლილების გათვალისწინებით), რომლის საფუძველზეც, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებული 15 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთი. საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა სიმბოლური 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

ხელშეკრულების 5.1 და 5.4 პუნქტების თანახმად, მყიდველმა იკისრა შემდეგი ვალდებულებები:

2023 წლის 31 დეკემბრამდე შესაბამისი განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული ტერიტორიის არანაკლებ 7.5 ჰა ფართობზე პარკის მშენებლობის დასრულება;

2023 წლის 31 დეკემბრამდე პარკის მოწყობის მიზნით, არანაკლებ 3 000 000 (სამი მილიონი) აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება.

ხელშეკრულების 5.1.3 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით განსაზღვრული პარკი ან/და მისი ნაწილი შესაძლოა მოიცავდეს როგორც ხელშეკრულებით, ასევე, მხარეებს შორის 2011 წლის 29 ივლისს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ მიწის ნაკვეთს.

მყიდველის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პარკის ნაწილი მოწყობილია მყიდველის საკუთრებაში არსებულ №01.17.14.004.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც არ ყოფილა ხელშეკრულებით ან/და მხარეებს შორის 2011 წლის 29 ივლისს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრივატიზების საგანი. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს მყიდველის საკუთრებას და მასზე პარკის ნაწილის მოწყობა გათვალისწინებული იყო განაშენიანების რეგულირების გეგმით. აღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეთა შორის შესაბამისი შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, ზემოხსენებული საკადასტრო კოდის შესაბამისი ტერიტორია შესაძლებელია ჩათვლილი იქნას ხელშეკრულებით განსაზღვრული პარკის ფართობის ანგარიშში, იმ პირობით, რომ მასზე გავრცელდება პარკთან დაკავშირებით ხელშეკრულებითა და წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული შესაბამისი პირობები.

ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, „მყიდველის მიერ წარდგენილი პარკის სიტუაციური ნახაზის მიხედვით, რომელიც შეასრულა შპს „სააგენტო სერვის ცენტრი ტემ“ (ს/კ: 206030418), ირკვევა, რომ განაშენიანების საერთო ფართობი შეადგინა - 71 654 კვ.მ. შპს „3დ რისერჩ“-ის მიერ შესრულებული სიტუაციური ნახაზი #1 და #2-ის მიხედვით 71 654 კვ.მ.-დან საკადასტრო კოდზე 01.17.14.003.800 განაშენიანება გადადის 341 (108+233) კვ.მ.-ით და საკადასტრო კოდზე 01.17.14.003.802 განაშენიანება გადადის 3265 კვ.მ.-ით. ამ ფართობის გამოკლებით ჯამურმა ფართობი შეადგინა 68048 კვ.მ.“.

შპს „სააგენტო სერვის ცენტრი ტემ“-ის მიერ მომზადებული სიტუაციური ნახაზის მიხედვით, პარკის ტერიტორიის ფარგლებში, ასევე, ჩათვლილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №01.17.14.003.279 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 94 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორია.

იმის გათვალისწინებით, რომ №01.17.14.003.800, №01.17.14.003.802 და №01.17.14.003.279 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, ამასთან, აღნიშნული უძრავი ქონება არ ყოფილა ხელშეკრულებით ან/და მხარეებს შორის 2011 წლის 29 ივლისს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრივატიზების საგანი, ასევე, აღნიშნულ ნაკვეთებზე პარკის მოწყობა არ იყო გათვალისწინებული განაშენიანების რეგულირების გეგმით, ზემოხსენებული საკადასტრო კოდების ტერიტორია ვერ იქნება ჩათვლილი ხელშეკრულებით განსაზღვრული პარკის ფართობის ანგარიშში. აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ ხელშეკრულების ფარგლებში, მყიდველის მიერ პარკი მოწყობილია 64 296 კვ.მ. ფართობზე.

ვინაიდან ხელშეკრულებითა და განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ლანდშაფტური მშენებლობის შედეგად, პარკის მშენებლობა/მოწყობა დასტურდება ჯამში 64 296 კვ.მ. ფართობ მიწის ნაკვეთზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფართობამდე (7.5 პა) შესავსებად შესასრულებელი რჩება პარკის მშენებლობა/მოწყობა დამატებით 10 704 კვ.მ. ფართობის მეორე შესაბამის ტერიტორიაზე.

ხელშეკრულების თანახმად, მყიდველი ვალდებულია პარკის მოვლა-პატრონობასა და მუდმივ ფუნქციონირებაზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და სტანდარტების შესაბამისად. ამასთან, ხელშეკრულება ითვალისწინებს პირობას (შემდგომში: **ოფცია**) პარკის მოწყობიდან 2 (ორი) წლის შემდგომ, მისი მოვლა-პატრონობის ვალდებულება შეიძლება გადაეცეს მუნიციპალიტეტს, სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტისთვის ბინების გადაცემის პირობით.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მხარეთა მოლაპარაკების შედეგად, მომზადდა შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმად:

დადასტურდება პარკის პირველი ნაწილის მოწყობა 64 296 კვ.მ. ფართობზე;

პარკის მეორე (დარჩენილი) ნაწილი - 10 704 კვ.მ. ფართობზე დასრულდება შეთანხმების გაფორმებიდან 3 (სამი) წლის ვადაში;

საბანკო გარანტია შემცირდება 57 000 აშშ დოლარამდე - მოწყობილი პარკის ტერიტორიის პროპორციულად;

პარკის მეორე ნაწილი ასევე შეიძლება მოეწყოს კომპანიის საკუთრებაში არსებულ ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც არ არის შექმნილი მუნიციპალიტეტთან 2011-2012 წლებში გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე - შესაბამისი პირობების გათვალისწინებით;

უქმდება პარკის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ზოგიერთი პირობა: მათ შორის, სასწრაფო დახმარების პუნქტები და კვების ობიექტები;

მხარეები თანხმდებიან, რომ პარკის მოვლა-პატრონობის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის ოფცია ამოქმედდება 2026 წლის 23 სექტემბრიდან (ექსპერტიზის დასკვნით პარკის მოწყობის დადასტურების თარიღიდან 2 წლის შემდგომ);

კომპანიას სრულად ეპატიება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო.

პირგასამტეხლოს ოდენობა 18.11.2024 წლის მდგომარეობით შეადგენს 969 000 აშშ დოლარს და ზრდადია (01.01.2024 წლიდან) 3 000 აშშ დოლარით ყოველდღიურად - შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.515) და ქალაქ თბილისში, მარტყოფის შესახვევი N8-ში 625 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.026.017) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, 2023 წლის 6 დეკემბერს ლევან ზერაკიძემ განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა გიორგი მახარაძის, თამარ მაჭავარიანის და ლევან ზერაკიძის თანასაკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული 903 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.12.003.041) ადგილმონაცვლეობა. როგორც განმცხადებლები აღნიშნავენ ახალი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ დამტკიცებამდე N01.14.12.003.041 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საცოხვრებელი ზონა 3, ხოლო ახალი გენერალური გეგმის დამტკიცების შემდგომ მიენიჭა სატყეო ზონა. მიწის ნაკვეთზე თემატური რუკის მიხედვით ვრცელდება გამწვანებული

ტერიტორიების ფენა და ისტორიული ნაწილის დამცავი ზონა. ასევე ჟვანიას ქუჩის ბოლოში, ლანდშაფტური ტერიტორიების სამშენებლო განვითარებისთვის დამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამის ქალაქმშენებლობით დოკუმენტად იქნა მიჩნეული. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით კი მესაკუთრეებს შეეზღუდათ მათ თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების შესაძლებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ გაცვლის ფორმით პრივატიზების მიზნებისთვის მოქალაქეებისთვის შეთავაზებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.515) და ქალაქ თბილისში, მარტყოფის შესახვევი N8-ში 625 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.17.01.026.017). საჯარო სამართლის იურიდიული პირის -ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე მიწის ნაკვეთებს შორის სხვაობას წარმოადგენს 148 846 ლარი, რომლის გადახდაზეც თანხმობა განაცხადეს მესაკუთრეებმა. საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს“ (საფირმო სახელწოდების ცვლილების საფუძველზე - შპს „სითი ბოქსი“, ს/ნ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსი“ (ს/ნ: 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი“ ს/კ: 439402843) შორის 2017 წლის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 20 წლის ვადით გადაეცა მითითებული ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონება (30 სხვადასხვა ლოკაციაზე, ჯამურად - 240 კვ.მ მიწის ნაკვეთი).

ხელშეკრულების 1.3 პუნქტის თანახმად, სარგებლობის ყოველწლიური საფასური შეადგენს 107 (ას შვიდ) ლარს და 60 (სამოცი) თეთრს 1 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ჯამურად - 25 824 ლარი).

ხელშეკრულების 1.4 პუნქტის თანახმად, საიჯარო ქირის გადახდის ვადის ათვლა დაიწყება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და საიჯარო ქირის გადახდა განხორციელდება თანაბარწილად, ყოველ 3 (სამ) თვეში ერთხელ, არაუგვიანეს ყოველი სამთვიანი პერიოდის გასვლის უკანასკნელი დღისა.

ხელშეკრულების 3.6 პუნქტის თანახმად, სარგებლობის ქირის გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განისაზღვროს გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ხელშეკრულებისა და მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით, მოიჯარე ვალდებულია განათავსოს რეტერატი(ებ)ი (საზოგადოებრივი საპირფარეშო) დანართი N2-ით გათვალისწინებული რენდერის შესაბამისად და მიიღოს ექსპლუატაციაში დანართ N3-ში მითითებულ ლოკაციებზე (გარდა N5 ლოკაციისა) არაუგვიანეს 2018 წლის 20 აგვისტოსა, დანართი N3-ის N5 ლოკაციაზე და დანართი 4-ის ლოკაციებზე (გარდა N2 ლოკაციისა) - არაუგვიანეს 2019 წლის 31 ივლისისა, ხოლო დანართი 4-ის 2 ლოკაციაზე - არაუგვიანეს 2020 წლის პირველი ოქტომბრისა (2.1.1. პუნქტი);

ხელშეკრულების 3.3. პუნქტის თანახმად, წინამდებარე პირობებისა და ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოიჯარეს ამ პირობებით განსაზღვრული ფორმით ეძლევა გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა, რომლის ოდენობაც განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით (ყოველ დარღვევაზე 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (3.7 პუნქტი)).

ამასთან, 2022 წლის 6-11 აპრილს სააგენტოს მიერ ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი ვალდებულებების მონიტორინგის მიზნით განხორციელებული ვიზუალური დათვალიერების შედეგად, გამოვლინდა ხელშეკრულების ფარგლებში მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევები (რიგ ლოკაციებზე საერთოდ არ იყო განთავსებული ან განთავსებული იყო ტექნიკურად გაუმართავი რეტერატი). აღნიშნულის თაობაზე დეტალური ინფორმაცია ადგილზე დათვალიერების ოქმთან ერთად ეცნობა მხარეს სააგენტოს წერილებით და განესაზღვრა დამატებითი ვადები ხარვეზების აღმოსაფხვრელად. გარდა ამისა, ამავე წერილებით მოიჯარეს განემარტა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ნაკისრი

ვალდებულებების შესრულებლობისათვის/არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულების 3.7 პუნქტის თანახმად ეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ დარღვევაზე - 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომლის დენაც გრძელდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

სააგენტოში მოიჯარის მიერ წარმოდგენილი წერილებით დადგინდა, რომ მოიჯარეს მიერ, ეტაპობრივად განხორციელდა რიგი ტექნიკურად გაუმართავი რეტერატების აღდგენა და ასევე, წარმოდგენილი იქნა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია (ვიდეომასალა), თუმცა რეტერატების ნაწილზე კვლავ აღმოსაფხვრელი დარჩა ტექნიკური გაუმართაობა. მოიჯარეს განმარტებით, არსებული ხარვეზები გამომწვეული იყო მათგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე.

მოიჯარემ განცხადებით მომართა სააგენტოს, წარმოადგინა დეტალური ინფორმაცია ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული ობიექტების შესახებ და დედაენის პარკის ტერიტორიაზე (ს/კ N01.18.03.003.025) და მ/ს „ავლაბრის“ მიმდებარედ (ს/კ N01.17.01.010.030) არსებულ ობიექტებზე ითხოვა ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული სარგებლობის უფლების შეწყვეტა იმ საფუძველით, რომ დედაენის ბაღში განთავსებული რეტერატი მუშაობდა გამართულად, თუმცა განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს მას შეუცვალეს ადგილმდებარეობა, რის შედეგადაც საჭირო გახდა ახალი პლატფორმის მოწყობა და კომუნიკაციების მიყვანა, თუმცა, ვინაიდან სს „თელასის“ მიერ ელექტროენერჯის მიწოდება ვერ მოხერხდა, რეტერატი დღემდე განთავსებულია უფუნქციოდ. ამასთან, მ/ს ავლაბართან მიმდინარე გზის რეაბილიტაციის ფარგლებში, მოიჯარე მერიის შესაბამის სამსახურს დაეთანხმა რეტერატის დალუქვასა და ადგილმონაცვლეობის შესახებ, იმ პირობით, რომ სამუშაოების დასრულებისთანავე მოხდებოდა რეტერატის განთავსების ადგილზე დაბრუნება აღნიშნულის მიუხედავად, რეტერატს არ განუახლებია ფუნქციონირება და დღემდე დალუქულია.

ამასთან, მოიჯარემ 2024 წლის განცხადებით კვლავ მომართა სააგენტოს და ითხოვა სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს“ (საფირმო სახელწოდების ცვლილების საფუძველზე - შპს „სითი ბოქსი“, შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების სრულად შეწყვეტა იმ საფუძველით, რომ პროექტის განხორციელებიდან დღემდე კომპანია განიცდის სოლიდურ ფინანსურ ზიანს, რეტერატების შეკეთებისა და აღდგენის ხარჯების გათვალისწინებით, რაც ყოველთვიურად საჭიროებს ინვესტიციის გაზრდას, რისი ფინანსური რესურსიც კომპანიას არ გააჩნია.

დღევანდელი მდგომარეობით, მოიჯარეს მიერ გადასახდელად ირიცხება საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლო (ფიქსირებული), რომელიც ჯამურად შეადგენს - 2 094,14 ლარს და ასევე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის, ხელშეკრულების 3.7 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლო, ყოველ დარღვევაზე, 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომლის დენაც გაგრძელდა ხელშეკრულებით გადაცემული სარგებლობის უფლების სრულად შეწყვეტამდე (14.04.2024წ).

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ მხარის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე შეწყდა სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს“ (საფირმო სახელწოდების ცვლილების საფუძველზე - შპს „სითი ბოქსი“, შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც არსებული საიჯარო ქირის დავალიანება მოიჯარეს მიერ სრულად იქნა დაფარული, მიზანშეწონილია, მითითებული ხელშეკრულების ფარგლებში საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (ჯამურად - 2 094,14 ლარის ოდენობით) და ასევე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის, ხელშეკრულების 3.7 პუნქტის შესაბამისად, დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან (ყოველ დარღვევაზე, 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე) შპს „სითი ბოქსის“ გათავისუფლება.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს“ (ს/ნ: 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის“ №-427-1-22706 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან შპს „სითი ბოქსის“ (ს/ნ: 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, წინა საკითხის ანალოგიურია. ამ შემთხვევაში მოიჯარემ 2022 წლის 18 აპრილის განცხადებით მომართა სააგენტოს და ითხოვა ხელშეკრულებით განსაზღვრულ, სანდრო ულის ქუჩაზე (ს/კ N01.14.04.026.028) არსებულ ობიექტზე სარგებლობის უფლების შეწყვეტა იმ საფუძვლით, რომ აღნიშნულ ლოკაციაზე რეტერატი განთავსებულია უფუნქციოდ, ვინაიდან არ მიეწოდება წყალი.

ამასთან, მოიჯარემ 2024 წლის 12 აპრილის N10/01241033629-61 განცხადებით კვლავ მომართა სააგენტოს და ითხოვა სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსს“ (ს/ნ: 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის“ №-427-1-22706 ხელშეკრულების სრულად შეწყვეტა იმ საფუძვლით, რომ პროექტის განხორციელებიდან დღემდე კომპანია განიცდის სოლიდურ ფინანსურ ზიანს, რეტერატების შეკეთებისა და აღდგენის ხარჯების გათვალისწინებით, რაც ყოველთვიურად საჭიროებს ინვესტიციის გაზრდას, რისი ფინანსური რესურსიც კომპანიას არ გააჩნია.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ხდება მითითებული ხელშეკრულების ფარგლებში საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად **დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (ჯამურად - 1 630.00 ლარის ოდენობით) და ასევე,** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის, ამავე ხელშეკრულების 4.5 პუნქტის შესაბამისად, **დაკისრებული/დასაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (ყოველ დარღვევაზე - 100 (ასი) ლარის ოდენობით)** შპს „სითი ბოქსის“ (ს/ნ: 439402843) გათავისუფლება.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, შარტავას ქუჩა N14ა-ს მიმდებარედ არსებული, 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.13.017.033) პირდაპირი განკარგვის წესით, ელისო სარაულისთვის (პ/ნ: 01003003397) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქ. თბილისში, შარტავას ქუჩა N14ა-ს მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.10.13.017.033 ელისო სარაულს იჯარით გადაეცემა, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით. აღსანიშნავია, რომ ელისო სარაულს 2009 წლის 18 დეკემბრის „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე, მითითებული უძრავი ქონება გადაცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, 2024 წლის 24 დეკემბრამდე ვადით, მის საკუთრებაში არსებულ ფართში (ს/კ: 01.10.13.017.01.009) შესასვლელი კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით. ამასთან, მოცემულ მიწის ნაკვეთზე, დღევანდელი მდგომარეობით მოწყობილია მის საკუთრებაში არსებულ ფართში შესასვლელი კიბე.

ასევე, სააგენტოში წარმოდგენილი წერილის თანახმად, თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის მოთხოვნილი 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის წინააღმდეგი. აღნიშნული მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა შესაძლებლად მიიჩნია არქიტექტურის სამსახურმაც.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 (ხუთი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 576 (ხუთას სამოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით. ამასთან, იჯარის ამოქმედების ვადად განისაზღვრება 2024 წლის 25 დეკემბერი.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N2-ში არსებული 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.014.053) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიგ სემისთვის“ (ს/ნ 405374107) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N2-ის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.014.004) მიმდებარედ 27 კვ.მ მიწის ნაკვეთი იჯარით გადაეცემა, შპს „ბიგ სემის“ ღია კაფეს მოსაწყობად. აღნიშნული კომპანია ქირავნობის უფლებით ფლობს მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი: N01.10.14.014.004.01.013), 22.02.2027 წლამდე.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილია, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დადებითი პოზიცია, იმ პირობით, თუ დაცული იქნება ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24

მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ ითხოვა განახლებული ესკიზის წარდგენა, კაფეს ინვენტარის განლაგების შემდეგ დარჩენილი საქვეითე სივრცის პარამეტრების მითითებით, არანაკლებ 2,5 მეტრი სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცის შენარჩუნებით. აღნიშნული სამსახურის პოზიციის გათვალისწინებით, კომპანიამ წარმოადგინა განახლებული დოკუმენტაცია და ითხოვა შემცირებული ფართობის - 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის გადაცემა.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 9 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 5760 ლარის ოდენობით, რაც მისაღებად მიიჩნია კომპანიის დირექტორმა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.014.053) აღნიშნული კომპანიისთვის იჯარით გადაცემას, 2027 წლის 22 თებერვლამდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 5760 ლარის ოდენობით.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ფხოვის ქ. N3-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.034) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დელისთვის“ (ს/ნ: 400267117) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, შპს „დელის“ განმეორებით იჯარით გადაეცემა, ქალაქ თბილისში, ფხოვის ქ. N3-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.034) , ღია კაფეს მოსაწყობად, 2027 წლის 1 სექტემბრამდე ვადით. კომპანია იჯარით ფლობს მიმდებარე შენობაში არსებულ ფართებს (ს/კ: N01.15.04.020.016.01.001), აღნიშნული ვადით. მოთხოვნილი 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთი იჯარით იყო გადაცემული ამ კომპანიისთვის, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ბრძანებით, 2024 წლის 1 სექტემბრამდე ვადით.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიამი მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფესთვის მოთხოვნილი 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განმეორებით იჯარით განკარგვის საკითხს.

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის ღია კაფეს მოსაწყობად მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის წინააღმდეგი.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „დელისთვის“ განმეორებით იჯარით გადაცემას, 2027 წლის 1 სექტემბრამდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 15900 ლარის ოდენობით. განკარგულების პროექტის დანართით განსაზღვრული საიჯარო პირობებით ასევე დადგენილია ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულება.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N5-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N01.14.14.010.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უნივერსისთვის“ (ს/ნ: 204915333) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, შპს „უნივერსის“ იჯარით გადაეცემა, ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N5-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი: N01.14.14.010.032) განმეორებით ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლით. აღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.14.010.005). აღნიშნული 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 2015 წელს, იჯარით იყო გადაცემული ამ კომპანიისთვის, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ბრძანებით, 9 წლით.

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი. სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმაც შესაძლებლად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებული 53 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, იმ პირობით, თუ დაცული იქნება „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „უნივერსისთვის“ იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 19080 ლარის ოდენობით, ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე**



ირაკლი ხელაძე